**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | [illegible] | 75 | 4 | [illegible] | [illegible] |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაწერად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის შენობის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სა?ოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



მეგობარნი და პატივისმცემელნი განსვენებულის კნ.
**ელენე დიმიტრის ასულის ლორთქიფანიძისა**
სთხოვენ ნაცნობთ მობრძანდნენ კვირას, 2 დეკემბერს, დილის 12 საათზედ, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გარდახდილ იქნება პანაშვიდი გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად, (3—3)



**ვერა კონსტანტინეს ასული გროსმანისა** და შვილნი მისნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა ქმრისა პირველისასა და მამისა მეორეებისას, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისას, გენერალ ლეიტენანტის ალექსანდრე იგნატის მის გროსმანისასა, რომელიც აღესრულა ქალაქ ქუთაისში, პირველ დეკემბერს, დილის ოთხს საათზედ, შემდეგ ხანგრძლივისა და მძიმე ავადმყოფობისა, სთხოვენ პატივი სცენ და მობრძანდნენ გუბერნატორის სადგომში გვამის გასვენებაზე და დასაფლავებაზე ორშაბათს, 3 დეკემბერს. (1—1)



სახალხო თეატრი
ოლგას ქუჩაზედ, სამგზავრო ფოსტის გვერდით, მებუ?ნეთოვის მა?ულში.
**კვირას, 2 დეკემბერს,**
ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:
**„მკითხავი“**
კომედია 3 მოქ., ა. ცაგარლისა,
ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“-დამ გადმოკეთებული.
მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ჩერქეზიშვილისა, დიდებულიძისა იოსელიანისა, მძინაროვისა, ციციშვილისა და სხვ.; ბბ. აწყურელი, გამყრელიძე, ადამიძე, გუნიაშვილი და სხვ.
დასასრულ იქნება **ლეკური**, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ჩერქეზიშვილისა, დიდებულიძისა, იოსელიანისა, აწყურელი, კოპაძე და სხვ.
ადგილების ფასი პარტერში: 1 რიგი 1 მ. 50 კ., მეორე—1 მან. 20 კაპ., მე 3, 4, 5, 6, 7, 8—1 მან., მე-9, 10, 11—75 კ., მე-12, 13, 14—50 კ., მე-15, 16, 17—40 კ. დანარჩენნი 30 კ. გალერეა: 1, 2, 3, 4, 5, 6 რიგები—20 კ., 7, 8, რიგი 15 კ. დანარჩენები—10 კ.
დასაწყისი 8 საათზედ
გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.



**ქართული თეატრი**
სამშაბათს, 4 დეკემბერს,
ბენეფისი
**ს. პ. სვიმონიძისა**
ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:
**მტარვალი**
ისტორიული ტრაგედია 5 მოქმ. თხზ, ი. ლაზარიშვილისა.

მოქმედება I დაფარული სიბოროტე
მოქმედება III ასპინძის ომი
მოქმედება II განთავისუფლება
მოქმედება IV სიკვდილი მტარვალისა
მოქმედება V
**სარჩობელა**
მოქ. სწარმოებს 1770-1775 წლებში.
ახალი დეკორაციები და ტანისამოსი, მესამე და მეხუთე მოქმედებაში მონაწილეობას მიიღებს არა ნაკლებ 60 კაცისა.
მოთამაშენი: ქქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ტარიელოვისა, ტატიშვილისა: ბ-ნნი სვიმონიძე, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, გარეჯელი და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე


## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის საქონლის სადგურზე ჟანდარმებმა იპოვნეს ცხრა „ბოჩკა“ თოფის საომარი „პატრონები“, რომელიც რუსეთიდგან ყოფილა გამოწერილი ტფილისში და აქ მოსულა ოდესასა და ბათუმზე. „ბოჩკებზე“ სწერია თურმე „скобяной товаръ“, ე. ი. დანა-ჩანგალი და სხვ. ამ გვარი საქონელიო და იმას მიეცით, ვ ნც ჩვენი ბარათი წარმოადგინოსო. ეს საქონელი დიდი ხანი ეწყო თურმე რკინის გზის სადგურზე და როცა გახსნეს, ნახეს, რომ საომარი „პატრონებითაა“ სავსე. ჟანდარმებმა მაშინვე ოქმი შეადგინეს, გამომწერს ორმოც-დაათი თუმანი ჯარიმა დაადეს, სამართალში მიცემას გარდა, მაგრამ ეს კაცი ჯერ-ჯერობით ვერ უპოვნიათ. ეს პატრონით სავსე ბოჩკები არსენალში გაჰგზავნეს.

*** პარასკევს, ნოემბრის 30-ს, ისარლოვის ქუჩაზე ერთი ახირებული ამბავი მოხდა: ღამის ორი საათი იყო, რომ გაისმა საშინელი ყვირილი და „გვიშველეთ“!-ს ძახილი ისარლოვის სახლიდგან. გამოცვივდა ხალხი, პოლიციის მოხელეებმა მოიყარეს თავი და სახე-გადაფითრებულმა ქ—მა ისარლოვისამ გამოაცხადა, რომ სახლში ქურდები შემოცვივდნენ და აი ამ ოთახში არიანო. პირველში შესვლას ვერავინ ჰბედავდა. ბოლოს პოლიციელებმა იშიშვლეს ხმლები, ფრთხილად შეაღეს კარები, შეიდნენ... მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ: ოთახში არავინ იყო. ვანჯინიდგან რაღაცა ფათური მოისმა, გააღეს და უეცრად რაღაც უშველებელი გადმოეშვა. მანდილოსნებმა წივილი ასტეხეს; პოლიციელებმა დამბაჩები ჩახმახზე შეაყენეს, დააცქერდნენ ავაზაკს და... სიცილი წასქდათ; ეს ავაზაკი—ვაი სირცხვილო! — ყვითელი ზორბა კატა ბრძანდებოდა.

*** მთავრობას გარდაუწყვეტია, რომ სამერმისოდ გაუქმდეს სამხედრო სამკურნალოები ფოთსა, ოზურგეთსა და ნუხაში.

*** დღეს, დილის 10 საათზედ, ქართულის თეატრის დარბაზში დანიშნულია არჩევანები ტფილისის საბჭოს მესამე რიგის ხმოსანთა.

*** ტფილისის ყასპებმა ხორცს უკვე მოუმატეს ფასი, ასე რომ 1 დეკემბერს გირვანქა ხორცი რვა კაპეიკად იყიდებოდა, და არა შვიდად, როგორც დღემდე იყო.

*** **საბაშიდ:** ამ ორის კვირის წინად უბედურება მოხდა იმ ახალს რკინის გზაზედ, რომელიც წიფიდგან მოლითამდე გაჰყავთ. იმ დროს, როდესაც ბექათუბნის ქვითკირის ხიდის თაღი გადაჰყავდათ ბერძნებს, ამოვარდა საშინელი ძლიერი აღმოსავლეთის ქარი, უცბად შეარყ-შეანძრია მომუშავე ბერძენი და გადმოაგდო ცამეტის საჟენის სიმაღლიდგან. საცოდავი, როგორც კვერცხი, ისე დაასკდა დედამიწას და იმ წუთაშივე სული განუტევა.

*** **იქიდამვე:** აქ მომუშავე ბერძნები მომეტებული ნაწილი მცირე აზიიდგან არიან მოსულები. ამათ ერთი კარგი თვისება სჭირთ, სახელდობრ, ისა, რომ ყველას საამხანაგოდ თითო კაცი ჰყავთ ამორჩეული და მუშაობით შეძენილს ფულს—აძლევენ სანდო ამორჩეულს კაცს, რომელიც მიდის სამშობლოში და ყველას ცოლშვილს ურიგებს გატანებულს ფულს. ამ ნაირად გზავნა ფულისა თურმე უფრო იაფად უჯდებათ ამ ბერძნებსა, ვიდრე ფოსტით.

*** ამას წინად გაზეთ „Нов. Обоз“-ში დაბეჭდილი იყო, რომ წარსულ თთვის 27-ს ბაქოში დამბაჩით თავი მოიკლა გაზ. „Каспій“-ის თანამშრომელმა ბ-ნმა მიხაილოვმაო. გაზეთმა დაბეჭდა კიდეც, ვითომ მის მიერ დატოვებული წერილი, რომელშიაც აცხადებს თავის მოკვლის მიზეზს. ამის შესახებ ერთმა ბ-ნ მიხაილოვის ახლო ნაცნობმა გვაჩვენა დეპეშა ბ-ნ მიხაილოვისა, რომელიცა სწერს, რომ ალბად გაზეთ „Нов. Обоз“-ის რედაქციას ჩემი თავის მოკვლა ესიზმრა, ჯერ ჭკუიდგან არ შევშცდარვარ, რომ თავი მოვიკლა, და ფიქრადაც-კი არ გამიტარებიაო. ამას წინად იმავე გაზეთმა დაჰბეჭდა, რომ სურამში ბ-ნი გორსკი, რომელსაც რევოლვერი ესროლეს ინჟინერ მეატის სახლში, უკვე მოკვდაო, მაგრამ ბ-ნი გორსკი ჯერაც ცოცხალია და სურამის საავადმყოფოში წევს. ეს რაღა უბედურებაა, რომ გაზეთმა „Нов. Обоз.“-ემ ერთს კვირაში ორი ცოცხალი კაცი დამარხა?!..

*** საოპერეტო დასის მეთაურს არტისტს ბ-ნს ლიუბიმოვს, რომლის გვარიც ბრანდგედლერია, უბედურება ეწვია. ბ-ნ ლიუბიმოვს თურმე ხელ-წერილი აქვს ჩამორთმეული ასტრახანის პოლიციისაგან, რომ ასტრახანიდგან ნურსად წახვალ, ვიდრე თქვენი საქმე არ გათავდება ასტრახანის სასამართლოშიო. ბ-ნ ლიუბიმოვს დაურღვევია ეს ხელ-წერილი, წამოსულა ტფილისში და პოლიცია-კი გაჩქარებული დაეძებდა თურმე ქ. ასტ-

# ფელეტონი

## ხალხური ლექსები

(ქართლში გაგონილი ნაჭარმაგეველის-მიერ)

ღმერთო, შენ გარიგებულსა
კაცი არ უნდა ჩიოდეს;
თავს ჰქონდეს ხმალი ნაცემი,
ცხვირ სისხლი ჩამოსდიოდეს.

—

სოლომან ბრძანა მეფემა:
ღმერთო, შენ დამარჩინეო,
ქვრივი, ობოლი ვარჩინო,
ბრმას თვალი აუხილოო.

—

ქალაქ სიონის საყდარი
ბაგრატიანთ ააგესა;
მარმარილოს სალესავი
დათალეს და დაავესა.
ქართლი მტრებსა დაულოცეს, —
ვაი რა ჰკუა წაავესა!..

—

ციდან წამოვა ღრუბელი
თავ-დაღმა დაეკიდება.
რაც კაცი თავის თავს უზამს,
მტერი არ მოეკიდება.

—

მინდორში დაიარება
ერთი პატარა ალალი;
შეხედე, ყველას აშინებს
თითი მტკაველა არ არი'..

—

ახალსა გუთნის დედასა,
ხარი დაუდის ნებასა:
ეგრე გავა და გამოვა,
ერთხელ არ იტყვის ზედასა[1])

—

მოდით, ძმანო აქ მოგროვდით,
გეტყვით გულის გასართობსა;
ტაში, კეკე, ტაში, მართა,
ჩვენი ლხინი გაიმართა[2]).

—

[1]) ამ სიტყვას მარტო გუთანზედ ხმარობენ და ნიშნავს „მარჯვნივ“ ე. ი. ძნელი გასაწევისაკენ.

[2]) ამ ლექსს მღერიან მაშინ, როდესაც გროვდებიან ბიჭები „ჭონაზე“ წასასვლელად!

იმ შორეულმა ბიჭებმა,
შორით სალამი მამცესა,
სანავე თვითონ გაიღეს,
ნავშიაც თვითონ ჩასხდესა;
ნაპირზედ რომ გამიყვანეს,
საყელოს ხელი მტაცესა,
დამიჭირეს, ბევრი მცემეს,
სიგძის სიგანე მამცესა,
სტვირი ზედ შემამალეწეს,
გუდას ხანჯალი დასცესა!..

—

გათენდა და გაანათა
საწუთრო და მთა და ბარი;
ადგა ბექან შეიკაზმა,
ტანთ ჩაიცვა საომარი;
— მამავ, შენი ხმალი მამე,
შენი ჯაჭვი ჩამაცვია!..
— შვილო, ჩემი, რათ რომ გინდა,
ყველა შენი ტანთ გაცვია!..
გაიყოლე წინ გურგენა,
ყველგან ომში ნაცადია!..

—

სილარიბე და ობლობა
ორივე გადამხედია;
სილარიბე სჯობს ობლობას;
ობლობა მეტათ ძნელია!..

—

ტყიდან ნადირი გამორბის
ფეხი აქვს ტალახიანი;
უკან მონადირე მოსდევს,
თოფიანი და ხმლიანი.
კაცი არ დაიწუნება,
თუ კაი ვენახიანი.

—

ბერი კაცი ვარ, ნუ მამკლამ;
ყველა დაგიწყებს გმობასა,
სა-კი შემოგეყრები,
გეტყვი შვილსა და ძმობასა.

—

ლეკებსა შემოუთვლიათ:
„ვაჟკაცობაზე ვდგევართო,
ზეცას მოესწყვეტამთ ვარსკვლავსა
კიბეს მივიდგამთ, ავალთო!..

—

გათენებისა მარსკვლავი
ეუბნებოდა ცისკარსა:
„ადექით, აიყარეთით,
არავინ დაერჩეთ მტრის კარსა.“

—

სულისთვინ სულსა მოგართმევ,
თუ რომ მოიტანდეს ქარი, —
მაგრამ ქარი არ მოიტანს,
გული შეიქნება მკვდარი.

—

თვალი მიჭირამს შენზედა,
როგორც მიმინოს წყერზედა.
ვაშლი ხარ თურაშაული,
აბიხარ ხისა წვერზედა.
ჯვარი ხარ პატიოსანი,
პირჯვარს დავიწერ შენზედა!..

—

აი შენ-კი გენაცვალე,
შენი დაბარცხნილი თმისა;
წვერ-ულვაში გამოგსვლია,
ჯერ არა ხარ ოცი წლისა!..

—

ნეტავი რამე მაქცია,
ბულბულათ გადამაქცია;
მასწავლა თქვენი ბაღები
თქვენ ვარდებ შემამაჩვია!..
დავკრიფო ია და ვარდი,
დავფინო ვერცხლის წყალშია,

რახანში. ეხლა იქაურს პოლიციას შეუტყვია, რომ ბ-ნი ლიუბიმოვი ტფილისშია და ეს ამბავი სასამართლოსთვის შეუტყობინებია. იქიდგან უკვე აუწყეს ეს ამბავი ტფილისის პოლიციას და სთხოვეს, რომ ბ-ნი ლიუბიმოვი ასტრახანში გამოგზავნეთო. ბ-ნ ლიუბიმოვს ჰბრალდება თავის ნებით წამოსვლა ასტრახანიდგან და ადმინისტრაციის ბრძანების დარღვევა.

*** „Нов. Вр.“-ა სწერს: როგორც ამბობენ, საქართველოს ეგზარხოსი, მთავარ-ეპისკოპოსი პალლადი შუამდგომლობს უწმ. სინოდის წინაშე, რომ ორი სამისიონერო ადგილი დაინიშნოს კავკასიაში მწვალებლობის წინააღმდეგ საბრძოლველადაო.

*** „Нов. Обоз.“-ე ამბობს, რომ ყვირილიდამ ვერს ნახევარის მანძილზე კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს ჰსურს გააშენოს სხვა-და-სხვა გვარი ვაზი ამერიკისა, რომელსაც ფილოქსერა ვერას აკლებსო. ამ აზრით კამიტეტს უკვე დაუბარებია ამ ზაფხულს თესლი ზემოხსენებულის ვაზისა ამერიკიდამ. ამ ვაზის გაშენების თვალყურის გდება კომიტეტს მიუნდვია აგრონომის ვ. ა. სტაროსელსკისათვის.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ ტფილისს ახლო ვილაც ორმა შეიარაღებულმა თათარმა გასძარცვა ხატის-თელეთელი მცხოვრებელი ნიკოლოოზ ხახვიაშვილი, რომელსაც ავაზაკებმა წაართვეს ჩოხა, ქურქი, დანა და 12 მან. 60 კაპ. ფულიო. ხახვიაშვილმა დაუწყო თათრებს ვედრება, რომ სიცოცხლით ნუ მომკლავთ და ჩოხა და ტყავი დამიბრუნეთო. თათრებმა შეისმინეს ვედრება საწყლისა და დაუბრუნეს ტანისამოსი.

---

## ეხლანდელის ჩვენის სტუდენტობის შესახებ.

ვინც ცოტათი მაინც დაჰკვირვებია ჩვენის ქვეყნის ეხლანდელს მდგომარეობას, უთუოდ შენიშნული ექმნება ის გარემოება, რომ საქართველოს საზოგადო მოძრაობა მეტად დაქვეითებულია სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო და ნელის ბიჯით მიხოხავს წარმატების გზაზე. ყოველი ჩვენი საუკეთესო მამულიშვილი გულ-დაჩაგრული შეჰყურებს ამ გარემოებას, ჩვენის გაზეთების თანამშრომლებიც ხშირ-ხშირად მოგვაგონებენ ხოლმე ჩვენს ნაკლულევანებას, ათას ნაირად გვიხატავენ ჩვენს სისუსტეს და სულ-მოკლეობას, მაგრამ, უნდა მართალი ვსთქვათ, ჯერ თითქმის არავის არ წარმოუდგენია საყურადღებო მიზეზი ამ გვარის მოვლენისა, არავის არ აღუნიშნავს ის უმთავრესი გარემოებანი, რომელთა მეოხებით მიმდინარეობს ჩვენი საზოგადო ცხოვრება. ყველანი მარტო ვუჩივით ჩვენს ბედს, სასოწარკვეთილებაში ვართ ჩვენის მომავალის შესახებ და იმას-კი არა ვფიქრობთ, რომ ტირილითა და ვიშით არაფერი მოგვარდება, და თითქო ვეწინააღმდეგებით იმ აზრს, რომ ყოველის ერის კეთილდღეობა და გაგარემოების ყველა მხრივი განკარგისება დამოკიდებულია მხოლოდ ხალხის გონებრივს განვითარებასა და კულტურულს მოძრაობაზე. ჩვენის სამშობლოს საზოგადო აზრის წარმომადგენელნი და საერთო მიმართულების მოთავენი დიდად ვერ ეხმარებიან ჩვენის ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეს. ისინიც შემთხვევის დროს ცხოვრების რომელსამე შესამჩნევს მოვლენას აგვიწერენ ხოლმე და სხვა-და-სხვა ნაირის დარიგების [illegible] ცუდს მოქმედებას და დააყენონ კეთილს გზაზე. კარგი და სასარგებლო დარიგებაც ხომ მშვენიერი რამ არის, ამის წინააღმდეგ ჩვენ ვერაფერს ვერ ვიტყვით, მაგრამ ჩვენს მოთავეებს ისიც უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ რისამე საზოგადო ნაკლულევანების მარტო აღნიშვნა-კი არ არის საკმარისი, არამედ უფრო საჭიროა გამოძებნა და გამორკვევა იმ მიზეზებისა, ახსნა და დასახელება იმ გარემოებათა, რომელთაც აქვს დამოუკიდებელი გავლენა ზემო აღნიშნულს ნაკლულევანებაზე. ყველანი ვხედავთ, რომ ჩვენი ინტელლიგენცია მეტად გულაცრუებულია, მოთავეთა რიცხვი თითქმის აღარ მატულობს, ეხლანდელი მოსწავლე ახალგაზდობა ჩვენს იმედებს ვერ ამართლებს, ჩვენი ცხოვრება მეტად უფერულია, მოკლებულია მხნეობასა და ძალას, საზოგადო მოღვაწეობა მივიწყებულია და ცხოვრების ასპარეზზე მოკლებულია კერძო კაცთა ნაყოფიერს მოქმედებას. ესენი ყველას კარგად გვესმის და ულონოდ შევყურებთ ჩვენს მდგომარეობას, რადგან ვერავითარი საშუალება ვერ გვიპოვნია იმის ასაცილებლად...

ამ წერილში ჩვენა გვსურს შევეხოთ ერთს საგანს, რომელსაც ჩვენ ვსთვლით ეხლანდელის ჩვენის ცხოვრების ავ-კარგიანობის უმთავრეს მიზეზად, და იმედი გვაქვს, რომ საქართველოს განათლებული საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას, რადგან მისი მნიშვნელობა არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს.—ერთის თვალის გადავლებით რომ გავსაჯოთ და მარტო უმაღლესს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულთ რიცხვი რომ მივიღოთ სახეში, უნდა დავასკვნათ, რომ სწავლა-განათლების საქმე მაინცა და მაინც არ უნდა იყოს ჩვენში დაცემული, მაშასადამე ინტელიგენციაც, ხალხის მოწინავე რაზმიც, საკმაოდ უნდა გვყავდეს. მეტი რომ არა ვსთქვათ, ყველა რუსეთის უნივერსიტეტში ასამდე ქართველი სტუდენტი იქმნება, რომელთა შორის ყოველ წლობით ოც ოცი კაცი მაინც ასრულებს კურს. მართლაც და სახუმრო არ არის ეგ რიცხვი. ჩვენს პატარა ქვეყანას ოცის განათლებულის კაცის მიმატება ყოველს წელში უეჭველად უნდა დაეტყოს. მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით ჩვენს მდგომარეობას, ადვილად დავინახავთ, რომ სწავლა დამთავრებულთა რიცხვის გამრავლება ვერაფრად ეხმარება ცხოვრების მიმდინარეობის გაუმჯობესობას. ნასწავლი ახალგაზდები, ცხოვრებაში შესვლისათანავე, ივიწყებენ თავის ზნეობრივს მოვალეობას, უმთავრესს საგანს კაცობრივის არსებობისას, და ნელნელა ეძლევიან მდორე და უაზრო ცხოვრებას. მათთვის არ არსებობს არც საერთო აზრები, არც საზოგადო მოღვაწეობა და ქველ-მოქმედება, არც კეთილის საქმის სურვილი და არც სხვა ნაირის კაცურის ღირსების დამამტკიცებელი მოქმედება, ძვირად მოიპოვება მათ შორის იმისთანა კაცი, რომ რიგიანად ჰქონდეს გამორკვეული საზოგადო იდეალი და მისის მიხედვით მოქმედებდეს.

მიზეზი ამ ყველასათვის სამწუხარო მოვლენისა იქ უნდა ვეძებოთ უწინარეს ყოვლისა, რომ ეხლანდელმა სტუდენტობამ მიმართულება შეიცვალა, ამ უკანასკნელს ხანებში რუსეთის მწერლობამ დიდი ყურადღება მიაქცია ამ საგანს და ამის შესახებ დაიწერა კიდეც რამდენიმე თხზულება, სადაც ის უმთავრესი აზრია გამოთქმული, რომ ეხლანდელი სტუდენტობა დიდად დაცემული და დაქვეითებულია წინანდელს სტუდენტობასთან შედარებით. მაგრამ ამასთანავე არც ერთს მწერალს არ წარმოუდგენია პატივსადემი მიზეზი შენიშნულის მოვლენის ასახსნელად. თითქმის ყველა საერთოდ ამ ცვლილებას ბრალადა სდებდა ახალს წესდებას უნივერსიტეტისას, შემოღებულს 1885 წელს.—ჩვენ-კი უფრო ღრმა და საყურადღებო მიზეზი უნდა დავასახელოთ. ყველგან გავრცელებულია საზოგადოდ მიღებული აზრი, რომ სამოციან წლების სტუდენტობა ბევრად წარჩინებული იყო ეხლანდელზე, რომ მაშინდელი ახალგაზდები უფრო პატიოსნად ეპყრობოდნენ თავისს მოვალეობას და ცხოვრების სხვა-და-სხვა ასპარეზზე დიდს გულ-მოდგინეობას და მხნეობას იჩენდნენ, ეხლანდელი სტუდენტები-კი გონებითა და ზნეობით დაცემულნი არიან და ყოველს საზოგადო მოქმედებაში ამტკიცებენ თავის, სრულს სისუსტეს და უნიჭობას. ამ გვარი შეხედულობა, ჩვენის ფიქრით, უსაფუძვლოა. არ შეგვიძლია დავეთანხმოთ, რომ ნიჭით ეხლანდელი სტუდენტობა ჩამოუვარდებოდეს სამოციან წლების სტუდენტობას. ჩვენ უნდა ავიღოთ საუკეთესო ნაწილი როგორც წარსულისა, ეგრეთვე თანამედროვე სტუდენტებისა და იმის მიხედვით წარმოვსთქვათ ჩვენი მსჯელობა. ეხლანდელი სტუდენტობა უწინდელთან შედარებით სულ სხვა გარემოებაშია და ეს გარემოება უნდა მოვიხსენიოთ. სამოციან წლებში სტუდენტობა მეტად გამხნევებული იყო, დიდის ხალისითა და სიხარულით ეძლეოდა გონების განვითარებას, ტვინის ვარჯიშობას და სულიერად სტკბებოდა მაშინდელის საზოგადო მიმართულების მიხედვით. სამოციანმა წლებმა ნათელი მოჰფინა მთელს რუსეთს, ყოველი მხარე შინაგანის ცხოვრებისა განახლდა, შეიცვალა. მოისპო ბატონ-ყმობა, გავრცელდა სწავლა, დაარსდა უთვალავი ჟურნალ-გაზეთი, დამკვიდრდა ახალი მიმართულება მწერლობისა, შესდგა წრე ახალის მწერლობისა, — ყოველიფერი იზიდავდა კაცის ყურადღებას, ყველაფერს დაედო ახალი ფერი. რასაკვირველია, სტუდენტობა აღტაცებული იყო ამ დიდის მოძრაობის დროს და იხატავდა სხვა-და-სხვა ნაირს იდეალებს, რომელიც დაჰბადა ნამდვილმა ცხოვრებამ; განახლებულმა მდგომარეობამ წამოსწია ახალი საგანი საზოგადო მოღვაწეობისა, ყოველი მხარე ცხოვრებისა ითხოვდა დახმარებას მცოდნე კაცებისას. სამოციანი წლებიდგან იწყება ნამდვილი ცნობიერი ცხოვრება რუსეთის ერისა. მაშინ დამყარდა საზოგადო, ეკონომიური მდგომარეობა რუსეთში და მტკიცედ მოიდგა ფეხი მისმა ეროვნულმა აღმატებამ. სამოციან წლებმა ჩვენს ცხოვრებასა და მწერლობაზედაც დიდი გავლენა იქონია. ქართველი ახალგაზდობაც, — რომელიც რუსეთის უნივერსიტეტებში იღებდა უმაღლესს განათლებას, ეძლეოდა საზოგადო მოძრაობას, გონების განვითარებას და სამშობლოში დაბრუნებას შემდეგ გულ-მხურვალედ და წრფელის სურვილით ეკიდებოდა ხალხის განათლების საქმეს. როგორც რუსეთი, აგრეთვე საქართველოც შედიოდა ახალს ერაში, ცხოვრება გაფართოვდა, ბატონ-ყმობის დროს დატყვევებული და დამონებული ხალხი განთავისუფლდა და ეკონომიურის წარმატების გზას დაადგა. დროთა ვითარების გამო დაჩაგრულის ხალხის დახმარება, მისი მდგომარეობის განკარგისება, საზოგადო განათლების გავრცელება შეადგენდა მაშინდელს უმთავრეს იდეალს, რომლის მიხედვით შრომობდნენ მთელის რუსეთისა და კერძოდ საქართველოს მოღვაწენი...

ეხლანდელი დრო-კი სულ სხვა ნაირს სურათს წარმოგვიდგენს. სამოციან წლების უკიდურესი აღტაცება თან-და-თან შესუსტდა. ამ ოცდაათის წლის განმავლობაში ხალხი დაწინაურდა, კაცის გონებამ დიდი ნაბიჯი გადაადგა წარმატების გზაზე, საზოგადო ზნეობა თანდათან მკვიდრდება, კაცობრიობა ჭეშმარიტს გზას ეძებს საზოგადო ცხოვრების მსვლელობისათვის. ეხლანდელი გამოჩენილი მსწავლულნი ყმაწვილ-კაცობას უნერგავენ გულში წმინდა იმედს უკეთესის მომავლისას. უკანასკნელი წლები მეცხრამეტე საუკუნისა იმისთანა დროა, როდესაც წინანდელი მიმართულება და აზრები შესუსტებულია და ახლა კიდევ არ არის კარგად გამორკვეული. ყოველი ამ გვარი ხანა

---

მოვიდე და ჩამოვყარო
თქვენი სათონის ბანშია!

—

ზღვაში შეცურდა კურდღელი,
თან მელა შეჰყვა ტივითა,
გოგოვ, ეგ შენი სურვილი
მაბრუნებს ხარატივითა!..

—

გაზაფხულისა პირზედა
შაშვმა დაიწყო გალობა;
რისთვის დამწვი და დამდაგე
დაიწვეს შენი ქალობა?!.

—

ქალო, პირით მთვარის მსგავსო,
დაიჯერე, ქვეყნის ფასო,
მე ხომ თავი შენ შეგწირე
და გონება შენკენ მაქვსო!..

—

ვაი რა მორიდალი ვარ
ავ-ცხვირი პატარძლისა!
ის ხომ დილაზე ადგება
როდი დაიბანს ხელ-პირსა,
გაბუტვით ყველას ჩაუვლის.
წყალს არ დაასხამს საჭმელსა.

—

ეხლამდელსა პატარძლებსა
ციება სჯობს სახლშიაო:
ჯამები დატლიკინებენ
წუნწუხსა და ლაფშიაო.
ჩამჩაი უკან მისტირის,
ციცხვი-კი იცემს თავშიო;
იმისთანა პატარძალსა
მალეც აგდებენ კარშიო.

—

ადრიან ყივილისთვინა
დამიწყევლია მამალა;
სადაც გაჭირვება არი,
განა დატკბობა აღარა!..

—

წყლის პირსა დგანან ბალები,
გარს ეხვევიან ქალები:
ერთი შეხედვით შევატყობ,
რომელსაც შევებრალები!..

—

მეზობელში ლამაზ ქალსა
სამიჯნუროდ მოვეკიდე;
ხელი მკრა და გადამაგდო:
„ბიჭო, რას გადამეკიდე?
წადი მთაში თივა თიბე,
ზამთრის სარჩოს მოეკიდე!“

—

შენ, ქალო, გალმა უბნელო,
თეთრად გათლილო ქასრითა;
მწამებენ შენთან მოსვლასა,
ლამის გამტეხონ აზრითა!

—

ამო, ამოდი, ნიავო,
ქვეითი ქვეყნებისაო;
ამბავი ამოიტანე
ლამაზი ქალებისაო.

—

გოგორამა ღრიჭინითა
ცას ღრუბელი გადაჰყარა;
გოგომ თავის სიცილითა
ბიჭსა თავი შეაყვარა.

—

ჩემმა ძმამ დამაქორწილა
ყურთ-მაჯი შევიყარეა;
ცხვარი მინდოდა გულითა,
ისიც ხომ გავიმრავლეა.
ჩემი ბარგი და ბარხანა
სულ მთაზედ ავიტანეა.
ლეკებმა ჩამამიარეს:
„გამარჯვება, მემცხვარეა!“
არც უთხარი გამარჯვება,
არც შუბლი გაუშალეა.

—

ჩემი ძმა რომ გამეყარა,
მე დავრჩი მარტოხელია;
მეც ლეკებმა დამიჭირეს,
მაგრა გამიკრეს ხელია.
ვეცადე, გამოვექეცი,
ლამე გავტეხე ბნელია.
აგრე გადმოვხტი ლიახვსა,
ფეხი არ დამისველია.
შემოვყე შერთულ ქალასა
კურდღელი ვხოცე ბევრია.

—

ეს ზოგიერთა ბებერი
განგებ დაიწყებს ხველასა:
ხმელა პურს გემოთ არ ნახამს,
თუ თვალით ჰხედამს წველასა.

—

სახლო, ღმერთმა აგაშენოს!
ჯამ-ჭურჭელო, მერე თარო;
სახლში კარგო პატარძალო,
მერე გაგახაროს, ქალო!

—

ეს სასახლე ვინ ააგო,
ვინ დახურა მუხის გული?
ამშენებლის მამა ცხონდა,
დამხურავის დედის სული!..

—

მჭედელი იქ [3]) დაიბარეს,
თავში დაუშინეს კვერი:
—ფასი რომ მეტი აიღე,
რკინას რისთვინ დაუკელი?
მეწისქვილე დაიბარეს
თავში დაუშინეს ძელი:
—მინდი რომ ბევრი აიღე,
საკალოსაც დაუკელი!

—

მგელმა თქვა: ქორწილს ვაპირებ,
ღვინო ჩავასხი ნასეტყვი;
წაველ მეცხვარეს ცხვარსა ვთხოვ,
ციკანს მომცემს, თუ რას მეტყვის!
არ მამცემს? ძალით წავართმევ!
ტირილს დაიწყებს? ბანს ვეტყვი.

—

დათვმა სთქვა: სიზმარი ვნახე,
რაც რომ თავს გადამდებოდა.
მელორის ჰალას ჩაველი,
იქ ღორი მეგულებოდა.
იქ ერთი ტახი შევჭამე,
ვიცოდი, არ შემრჩებოდა;
სიმინდი ბევრი შევჭამე,
ის ხილათ გამიხდებოდა.

[3]) ჯოჯოხეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიაში გვიხატავს საერთო მოძრაობის მიჩუმებას, მწერლობისა და ცხოვრების უშინაარსობას, მხნე და მონდომებულის მოღვაწეობის შეჩერებასა და ყოველ მხრივს უმოქმედებას. მართლაც და, თუ დავაკვირდებით თანამედროვე მდგომარეობას, არა თუ მარტო ჩვენში, არამედ რუსეთშიაც, ყველგან დავინახავთ ზემო აღნიშნულს მოვლენას. არსადა ჩანს ისეთი საზოგადო აზრი და საზოგადო მიმართულება, რომ ერთობის დაცვა და ნაყოფიერის შრომის გამოწვევა შეეძლოს. თვით ეხლანდელი სტუდენტობა დიდად განირჩევა სამოციან წლების სტუდენლობისაგან. მაშინ სტუდენტი ცხოვრების ყოველ-მხრივის განახლების მოწამე იყო, სულითა და გულით ეძლეოდა ახალს საქმეს, თავისს ძალ-ღონეს არა ჰზოგავდა მისის შესრულებისათვის, ყოველი მაღალი აზრი ამხნევებდა და ამასთანავე დარწმუნებული იყო, რომ სტუდენტობის დროს შემუშავებული იდეალები და ნატვრა-ოცნებანი გამოხორციელდება საზოგადო ასპარეზზედ. ეხლა-კი სტუდენტი მაღალს აზრებს თავს ანებებს, რადგან თვით ცხოვრება სხვა ნაირს მიმართულებას ითხოვს გონებისას. უმთავრესი შინაარსი ეხლანდელის მწერლობისა, უმთავრესი მოძღვრებანი თანამედროვე მეცნიერთა ყოველს განათლებულს კაცს იმ აზრს უნერგავს, რომ ჩვენი ცხოვრება ჯერ ფრთა-მოკვეცილი და დაქვეითებულია და მრავალი კერძო და წვლილი მისი შესასწავლელ-გამოსაკვლევიაო. ამისათვის დაიბადა ეხლანდელს სტუდენტობაში რაღაც კრიტიკული შეხედულობა, იდეალების შედარება ნამდვილს ცხოვრებასთან, დაფასება და შეგნებული მოქმედება ყოველს შემთხვევაში. ამ უკანასკნელის მხრით ეხლანდელი სტუდესტობა უფრო მაღლა სდგას სამოციან წლების სტუდენტობაზე, რომელიც დაუფიქრებლად და საშუალებების განურჩევლად ეკიდებოდა ყოველ ნაირს საქმეს.—მაგრამ, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, თანამედროვე სტუდენტობა სასურველს სურათს არ წარმოგვიდგენს. აღარ არის სტუდენტთა შორის ერთობა, ამხანაგური თანხმოება, საზოგადო ინტერესების დაცვა და მუდმივის შრომის სიყვარული; თან და თან ვრცელდება უხასიათობა, არა სიმტკიცე ზნეობისა. მეცნიარების ზურგის შექცევა, თავის მოვალეობის შეუგნებლობა და სხვ. კერძოდ ჩვენი ქართველი სტუდენტობაც ასეთს მდგომარეობაშია. ოცისა და ოც-და-ათ კაცს შორის ძალიან ბევრი ოთხი, ან ხუთი თუ მოინახება იმისთანა სტუდენტი, რომ ცოტათი მაინც ამართლებდეს იმედებს, რიგიანად ეპყრობოდეს გონების განვითარებასა და მომავალის მდგომარეობისათვის პრინციპების შემუშავებას. დანარჩენნი-კი სრულიად არა ჰფიქრობენ მომავალის ცხოვრებისათვის, ვითომდა სპეციალურს საგნებს ეტანებიან, მაგრამ სიზარმაცე აქაც უშლით ხელს და ბოლოს გამოდიან სრულიად მოუმზადებელნი, ცოდნას და გამოცდილებას მოკლებულნი. თითქმის სრულიად იკარგება ჩვენს სტუდენტებს შორის ერთობა, თანხმობა, საერთოდ მეცადინეობა, აზრების გაზიარება, საერთო მსჯელობა, ცხოვრების მიმდინარეობის თვალყურის დევნება. ყველა ერთი მეორეს ერიდება, თან და თან ჰშორდება, რაღაც შურით შეჰყურებს, ერთმანეთის დაცინვა და გაკიცხვა, ხომ რაღა თქმა უნდა, საზოგადო მოვლენაა ჩვენს შორის. ერთის სიტყვით, არავითარი შემაერთებელი საგანი არ არსებობს ჩვენის სტუდენტებისთვის. აი, ბატონებო, დააკვირდით, რანაირი მოღვაწენი ეზრდებიან ჩვენს სამშობლოს?!—ვისაც „კურთხეულის" სტუდენტობის დროს ერთი წმინდა გრძნობაც არ გაუტარებია გულში, ვისაც უნივერსიტეტში ყოფნის დროს არ მიუქცევია ყურადღება თავის გაწვრთნისათვის და არ დაუსახავს საგანი სამერმისოდ, იმისთანა ახალგაზრდა ყოველთვის დაკარგული იქმნება შეგნებულის ცხოვრებისათვის და ვერავითარს სამს ხურს ვერ გაუწევს ქვეყნის მდგომარეობას. უფრო საკვირველი ის არის, რომ ჩვენი საუკეთესო სტუდენტებიც ვერ უახლოვდებიან ერთი მეორეს, ცალკე შრომობენ; ცალკე ჰფიქრობენ და საერთოდეალების შემუშავებას შეუძლებლად ჰხედიან. მერე სამშობლოში ბრუნდებიან და იქ კიდევ უფრო განცალკევებულნი რჩებიან. უკანასკნელ გარემოების მიზეზად ჩვენ აი რამიგვაჩნია: ჩვენს დროში არ არსებობს ისეთი საზოგადო მიმართულება, რომ შეეძლოს შეერთება განცალკევებულის ახალგაზრდობისა და მოწვევა საერთოდ, ხელ-ჩაკიდებით მოქმედების სურვილისა. ამ გვარად სამშობლოს აკლდება ინტელიგენცია, შეგნებულნი წევრნი საზოგადოებისანი, მოთავენი საზოგადო ცხოვრებისა და ყოველ გვარის საზოგადო მოძრაობის მოწინავენი. ამას შემდეგ რაღა გასაკვირველი უნდა იყოს ჩვენის ცხოვრების დაქვეითება?!.

ამ გვარის გარემოებას ასაცილებლად ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ და ზნეობრივადაც ვალდებულნი ვართ აღვნიშნოთ ისეთი საგანი, რომ დიდი გავლენა ჰქონდეს ჩვენის ქვეყნის ავ-კარგიანობაზედ. უწინარეს ყოვლისა ჩვენს მწერლობის წარმომადგენელთ უნდა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ეხლანდელის სტუდენტობის მდგომარეობას, ვამოურკვიონ ჩვენს სტუდენტებს მომავლის ცხოვრების აზრი და ცხადად დაანახონ მნიშვნელობა განათლებულის წევრისა ხალხის წარმატების საქმეში. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ საგნის შესახებ ლაპარაკი და ბაასი მწერლობაში დიდად იმოქმედებს ჩვენს სტუდენტობაზე და აგრძნობინებს თავისს ეხლანდელს დაქვეითებას. უმთავრესად-კი თვით ეხლანდელმა მოსწავლე ახალგაზრდობამ უნდა შეიგნოს, რომ სტუდენტობის დრო—საუკეთესო ხანაა მთელს იმის ცხოვრებაში, ეხლა მას ყოველ გვარი გარემოება ხელს უწყობს გონების განვითარებისათვის და ეს გონების განვითარება შეადგენს საფუძველს ადამიანის ზნეობისას. ყოველმა სტუდენტმა უპირველეს მოვალეობად უნდა მიიჩნიოს, საზოგადო განათლება მიიღოს, მოემზადოს მომავალის მოღვაწეობისათვის, ეცადოს, სულითა და გულით აღიმაღლოს თვისი კაცური ღირსება, შეგნებული მონაწილე გაუხდეს საზოგადო მოძრაობას და შეასრულოს თავისი დანიშნულება. ამ გარემოების მისაღწევად საჭიროა, რომ სტუდენტობის დროს შრომას არ აართვას თავი, ამხანაგური ერთობა ჰქონდეს, ერთმანეთს დაუახლოვდეს და საერთო სამოქმედო საგანი ისე გამოირკვიოს. ეხლანდელს სტუდენტებს-კი არც შრომა გვიყვარს და არც ერთობა გვაქვს. აი ეს გახლავთ ჩვენი უმთავრესი ნაკლულევანება.

ვიმეორებ, მეტად და მეტად სასარგებლო იქმნება, რომ ჩვენმა მწერლობამ მიაქციოს ყურადღება ეხლანდელს სტუდენტობას.

მიხეილ სალარაძე

4 ნოემბერს 1890 წ. ქ. ოდესსა

# რუსეთი

საზოგადო კრებამ სახელმწიფო საბჭოსამ ამ მოკლე ხანში უნდა განიხილოს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ წარდგენილი პროექტი ამიერ კავკასიაში წყლის მფლობელობისა და მიწების რწყვისა. ეს პროექტი შეერთებულმა დეპარტამენტებმა უკვე განიხილეს და მხოლოდ სახელმწიფო საბჭოს მიერ დამტკიცებაღა აკლია. აღმოსავლეთი მხარე ამიერ კავკასიისა აზიის ერთი იმ კუთხეთაგანია, სადაც მკვიდრი ცხოვრება ხალხისა მიწების ხელოვნურად მოურწყავად ყოვლად შეუძლებელია. ამის გამო მინდვრების რწყვა ამ ქვეყანაში უძველეს დროიდგანვე შემოღებულია. მტკვრისა და არეზის პირის მინდვრებში დარჩენილი წყლის არხები იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ ადრიდგანვე ამ ადგილებში მკვიდრი მცხოვრებელი ხალხი ყოფილა: ეხლა იქ მხოლოდ ზამთარში ბანაკობს ხალხი, ხოლო ზაფხულში-კი სიცხისაგან ერთიან გაგოლვილ-გახრიაკებული მოტიტველებული ადგილი ყოველთვის უმცხოვრებლოდ რჩება. რამდენადაც საჭიროა ამ ქვეყნისთვის მიწების მორწყვის ასე თუ ისე გადაწყვეტა, იქიდგანაცს ჩანს, რომ საქართველოს მეფე ვახტანგმა თავისს კანონებში დაწვრილებით განმარტა წყლის მფლობელობის საქმე, მაგრამ მაჰმადიანთა ადგილებში სამოქალაქო კანონმდებლობის უქონლობის გამო რელიგიურის რწმუნებებით ხელმძღვანელობენ წყლის მფლობელობის საქმეში. სახელმწიფო საბჭოში წარდგენილი პროექტი აღნიშნავს, როგორ უნდა მოეწყოს მინდვრების რწყვის საქმე ამიერ კავკასიაში, ვის რა უფლება უნდა ჰქონდეს წყლის ხმარებაში, რა ნაირი დაწესებულება უნდა დაარსდეს ამ საქმის საზედამხედველოდ და სხვა... თუ წყალი ერთის მამულში იღებს სათავეს და სხვის მამულზედაც მიმდინარეობს, მაშინ სხვა მემამულეებსაც ნება აქვთ იხმარონ წყალი მიწების სარწყავადაც და სხვა საჭიროებისთვისაც, ხოლო თუ წყალი ერთს მამულში იღებს სათავეს და იქვე სწყდება, მაშინ მემამულე სრული პატრონია წყლისა. სარწყავ წყლის ხმარების უფლება ცალკე უფლება არ არის, მამულის მფლობელობასთან არის შეკავშირებული და იმისაგან ვერ განცალკევდება, ცალკე ვერავის დაეთმობა. წყალთა ინსპექტორმა უნდა მოწმობა მისცეს ხოლმე, რომ ამა და ამას ნება აქვს, სარწყავად იხმაროს წყალიო, მთავრობას შეუძლიან, თუ საჭიროდ დაინახავს, ახალი არხები გაიყვანოს და ძველები გააუქმოს. ამ შემთხვევაში წინად მიცემული მოწმობები სარწყავ წყლის ხმარებისა ხელ-ახლად უნდა იქმნეს გადათვალიერებული და შემოწმებული, მაგრამ არავის-კი იმაზე ნაკლები წყალი არ დაეთმობა, რაც წინიდ ჰქონდა დათმობილი. როდესაც არხების განკარგებით წყალი მოემატება, თუ მემამულეთა ხარჯით განკარგდა არხი, მომეტებული წყალიც იმათ გაუნაწილდებათ და თუ სახელმწიფოს ხარჯით—მაშინ სახელმწიფოსვე დარჩება ეს წყალი და ნება აქვს თავის მოსაზრებისამებრ მოიხმაროს. უფროს ზედამხედველად წყალთა ინსპექტორი დაინიშნება, რომელსაც თავისი კანცელარია ექნება, ხოლო არხების საქმე ინჟენერ-გიდრაულიკებს მიენდობა. წყალთა ინსპექტორსვე თანაშემწედ ეყოლება იურისტ-კონსული და ინჟენერებს—კონდუქტორები. წყალთა ინსპექტორმა უნდა გაარჩიოს ხოლმე ყოველი საჩივარი წყლის მფლობელობაზე ამტყდარი და დაესწროს მთავარ მართებლის საბჭოში ამ საქმეზე სჯის დროს. ყოველ წლივ ტფილისში კრება მოხდება ინჟენერ-გიდრავლიკებისა წყალთა ინსპექტორის თავმჯდომარეობით და ამ კრებაზე გაირჩევა ყოველივე თხოვნა და საჩივარი მემამულეებისა და სხვა საქმეები წყლის მფლობელობის შესახებ. ინჟენერი-გიდრავლიკი თავის პირდაპირ მოვალეობის აღსრულებას გარდა, ვალდებულია მომრიგებელ შუაკაცისა, მაზრის უფროსისა და სამის სხვა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ ამორჩეულის წევრისაგან შემდგარს კრებაზე დაესწროს და თავმჯდომარეობა იკისროს. ამ კრებამ უნდა განიხილოს და გადასწყვიტოს ხოლმე მემამულეთაგან წარდგენილი თხოვნები. ამ კრებაზე უმაღლესი მეორე კრებაა, რომელზედაც თავმჯდომარედ იქნება ერთ-ერთი წევრი ტფილისის სამოსამართლო პალატისა და წევრებად იურისტ-კონსული, ერთი მთავარ-მარ-

---

გადავიხედე სოფელში,
სოფელი ჩოჩქოლდებოდა;
ლამაზ-ლამაზი ბიჭები
თოფ-იარაღში სხდებოდა.
მაღალ-მაღალი მწვერები
ფეხის ფჩხილებზედ დგებოდა.
ასეთ მინდორზე გამიგდეს,
თვალი არ გადუწვდებოდა,
ასეთ ხევ-ხუევში ჩამაგდეს,
ქორი ვერ ჩაფრინდებოდა.
ტყვია ბევრი დამაყარეს,
სისხლის მორევი დგებოდა.
სვამდნენ ყვავი და ყორანი,
მაგრამ ის არ ილეოდა!..

—

მგელმა სთქვა: გუშინ შორს ვიყავ,
გადმოვიარე მთანია,
ატამი დამწიფებულა,
ყურძენს შესვლია თვალია.
მემცხვარეს, ჩემსა ძმობილსა,
გადმოეშალა ცხვარია.
დავთვალე, მეტი მეგიდა,
ის ურჯულონი თხანია.
მე და თხა დავიტაკენით,
თხამ დაიძახა: „ვაია";
მემცხვარე გადმოეშველა,
ხარზედ გაედო კავია.
დამიოჩხელა, დამარტყა,
მამტეხა ცალი მხარია;
—მაკადე შვილო, მემ...
ვერ გიყო მაგიერია:
საკრავეთში შეგეპარო,
სულ გაგიწყვიტო ცხვა...
ზვარეზე წამოვწოლიყე
პირ მომდიოდეს ქონ...
თავ ყვაები დამჩხაოდ...
ბოლო ნისკარტა გძე...

—

ერთი ტიკჭორა ჭრე;
შეიდი კამეჩი ტყავი
ღვინის საყიდლად დი,
ღმერთო, შენ დამ...ია!..
შვიდასი კოკა ჩავ...
ტიკჭორა ისევ მშ...ა.
ხუთასი კიდევ ჩაჟ
ძლივს მაშინ მო... ყელია.
წამოვკარ, წამო...
აღმართი შესავლ...;
წინ კაცი შემომეყარა,
მეტათ რამ საკურველია:
—მაგ ტიკჭორას მე აგიტან,
თუ გამისველა პირია!
—პირს როგორ არ გაგისველებს:
ათასი კოკა ბევრია.
კაცი ტიკჭორას დააწვა,
ტიკჭორა დარჩა ხმელია.
კაცი ჩექმაში ჩაისვა,
მაგრა მოიკრა ყელია.
ცოლთანაც დაიტრაბახა:
—მე ვარ მის მომქმედელია,
ცოლმა რომ ჩექმა გახადა,
კაცი გამოჰყვა მთელია.

—

ნათლია ჩემი მეწვია,
ჯიბეში ედო მათარა;
ასი ჩურჩხელა შეჭამა,
ოთხი თაბახი თათარა.
...გრე შეჭამა თათარა,
ვერი არ გააცანცარა.
კიდევ წავიდა ტყეშია;
ექვსი ურემი გათალა!..

—

## თაგვ-კატის ომი.

(გაგონილი ს. არჩუაშვილისაგან)

უსუსურებით აივსო
ჯერ მთა და მერე ბარია:
გაუჩნდა თაგვსა ხელმწიფე
დაარქვეს კანა-ფარია;
იმას რომ ცოლი მოჰგვარეს,
პეწენიკ-დედოფალია.
ადგა გაგზავნა კუდრაჭი [4])
აბეზარ ომი გვწადია!..

(კატამ მიუგო)

—არც შეგვიყრია ლაშქარი,
არცა გვაქვ თქვენი თავია;
აბანოთ მოგვირთმევია
თქვენთვის ლამაზი ქალია.
კუდრაჭი უკან გაბრუნდა,
გახარებული არია:
—ადექით, აიყარენით,
ყველამ აიღეთ ხმალია,
წავიდეთ და იქ დავესხათ,
სად კატის მოედანია;
გავწყვიტოთ იმათი გვარი,
ვამრავლოთ ჩვენი გვარია!
თაგვი და კატა შეიბა;
ჯერ დილა იყო ცისკრისა;
თოფი ჰკრეს, ხმალი ანტვრიეს,
სიბნელე იყო ისრისა.
ერთმა პატარა თაგუნამ
თხუთმეტი ერთად მისრისა.
— „იცადე, შვილო, კანაფარ!
ვისი ცხენია მალია!"
ციცუნა წამოეწია,
ბეჭზედ დაუსვა ხმალია,
იმას-ამასობაშია
იქ მოკლეს კანა ფარია.
—დამიძახეთ ლოკოკინას,
ფეხ მალია და ჩქარია,
უნდა გავგზავნო ისპაანს;
წყალსა მოიტანს მალია.
ეს ლოკოკინამ გაიგო,
მაგრა დაკეტა კარია.
—მე დღისით არ ვიარები,
თუ არ წვიმა ავდარია.
მერმე სულ ამას ამობენ
სულ სიცხე, გვალვა არია.

[4]) თაგვი.

თებელის მიერ დანიშნული სხვა კაცი და ერთიც ინჟენერ-გიდრაევლიკი. ამ კრების ყოველივე გარდაწყვეტილება საბოლოოდ გარდაწყვეტილება იქნება. მემამულეებმა უნდა ამოირჩიონ და ვინც უნდა იმას მიანდონ მეთვალყურეობა თავიანთის საერთო წყლის არხისა.

ამ ზემოხსენებულის წესის შემოღება ფინანსთა სამინისტროს საკმარლონის ძიებად მიაჩნია ამიერ კავკასიის აღმოსავლეთს მხარეში მცხოვრებთა კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად და განსაკარგებლად.

## უცხოეთი

**ინგლისი.** პარნელმა ისე მოახერხა საქმე, რომ ახლა იმისა და კაპიტან ო'-შის ამბავს-კი აღარავინ კითხულობს, ყველას ყურადღება გლადსტონზეა მიქცეული და ელის, აბა როგორ გაიმართლებს თავს დიდებული მოხუცი იმ საქმეში, რომელიც პარნელმა გამოაშკარავა. ეს საქმე ხომ, მოგეხსენებათ, ის არის, რომ პარნელის აზრით, ინგლისის ლიბერალებს უნდათ ჩვენი შველა მხოლოდ იმიტომ, რომ უმრავლესობა იმათგან ყოფილიყო, თავიანთი სამინისტრო აერჩიათ ქვეყნის ბედ-იღბალის განსაგებად და მერე ჩვენთვის ისეთი პარლამენტი გადმოეგდოთ, რომელსაც თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა ირლანდიისათვისაო. ასეთი ბრალდება დიდი და მძიმე ბრალდებაა ისეთის წმინდა კაცისათვის, როგორიც არის გლადსტონი და მისი ღირსეული თანაშემწენი: ჯონ-მორლეი და გარკური. კონსერვატორებსაც ეს უნდოდათ. დაიხვიეს ხელზე პარნელის ნათქვამი და სულ იმას იძახიან, აბა სთქვას გლადსტონმა, როგორი პარლამენტი უნდათ მისცენ ლიბერალებმა ირლანდიასაო, აბა გამოარკვიონ ნამდვილი თვისი განზრახვანი ამ საქმის შესახებ ლიბერალმა მეთაურობამაო. გლადსტონსა და მის თანაშემწეთ იქნება ირლანდიისათვის დიდად საბედნიერო საქმეცა სწადიანთ, მაგრამ საარჩევანო მოსაზრების გამო, ყველაფერის თქმას ვერ მოახერხებენ და ამიტომ ჯერ-ჯერობით არც პარნელისა და არც კონსერვატორების დასის სურვილს ლიბერალთა მოთავენი არ აკმაყოფილებენ. პარნელი ამასობაში თავისს აზრზე მტკიცედა სდგას და ირლანდიის დასის წინაშე ამტკიცებს, რომ ინგლისის ლიბერალთაგან დიდის სიკეთის იმედი ნუ გექნებათო. აი რა უთქვამს ამას წინად პარნელს ერთს ირლანდიელთა დასის კრებაზე: მე აგიხსენით, რა პროექტიცა აქვთ ჰომრულისა ლიბერალების მოთავეებს. არც ერთს თქვენგანს ეგ პროექტი არ მოეწონა და მართლაც არაფრად მოსაწონიც არის. ან-კი განა დარწმუნებულნი უნდა იყვნეთ, რომ იმაზედ უკეთესს მიიღებთ რასმე. შეუძლიან განა ბ-ნს გილს სთქვას, რომ ლიბერალები უკეთესს რამეს მოგანიჭებენ? ან მაკკარტის შეუძლიან სთქვას ესა? ან სექსტონს? თუ შეუძლიანთ, სთქვან ღვთის გულისათვის და მე ერთს წუთსაც წინ არ გადავეღობები იმათს სურვილს. (ისმის დიდი ტაშის კვრა). განა რა ვილაპარაკე მე და ან რა ვსთხოვე ლიბერალთა მოთავეებს? მხოლოდ ის, თანხმანი იქმნებიან თუ არა გლადსტონი, გარკური და მორლეი, მისწერონ წერილი მაკკარტის, რომ, თუ ვინცობაა, ლიბერალებმა გაიმარჯვონ და თვისი სამინისტრო იყოლიონ, პარლამენტს წარუდგინონ ამ უკანასკნელმა ის პროექტი ჰომრულისა, რომლის ძალითაც პოლიციაც ირლანდიის პარლამენტის ხელში იყოს და საადგილმამულო მწვავე საქმის გადაწყვეტაცა-მეთქი. ეხლა იყო კიდევაც და მაკკარტის ვსთხოვე, რომ ეს ჩვენი სურვილი შეეტყობინებინა გლადსტონისათვის არა ჩემი სახელით, არამედ ირლანდიელთა სახელით. ესეც დავსძინე, რომ, უკეთუ დასთანხმდებიან და შეიწყნარებენ ჩვენს სურვილს ლიბერალთა მოთავენი, მე მაშინვე თავს დავანებებ საპოლიტიკო მოღვაწეობასა-მეთქი. გლადსტონმა არ მიიღო ჩვენი პირობანი. გარკურს-კი ეთქვა, ასე გავიგონე, რომ არავითარს აღთქმას არ მივცემ და ვერავითარს დასაპირს ვერ დავპირდები რომელსამე ირლანდიის დასსაო (გარკური უარ-ჰყოფს ამას). მაგრამ ეს კი გახსოვდეთო,—განაგრძო თურმე პარნელმა, რომ სერ ვილიამ გარკური ის კაცია, რომელიც იქმნება თქვენ მეთაურად გლადსტონის გარდაცვალების შემდეგ. და აი ამ დიდებულმა მოღვაწემ, ვის ბორკილიც გინდათ დაიდოთ ეხლა ხელ-ფეხზე, სთქვა, რომ ჩემთვის ჰომრული იგივეა, რაც ჩემბერლენმა საქმე წარმოადგინა ირლანდიის მმართველობის რეფორმისაო. და როდესაც გარკური მთავარ-მინისტრი გახდება, ის მოგცემთ თქვენ ირლანდიის მმართველობის რეფორმას და რეპრესსიასაც უხვად მოატანს თან (სმენა იყოს, სმენა!) მე ძალიან კარგად ვიცი, რასაც გააკეთებს თქვენთვის გარკური; ისიც ვიცი, რასაც იზამს ან გლადსტონი და ან მორლეი. ისიც კარგად ვიცი, რომ თუ თქვენის თავის იმედი არ გექნებათ, ნურაფრის იმედსაც ნუ იქონიებთ (ისმის ხანგრძლივი ტაშის კვრა). აი რა უნდა მეთქვა ირლანდიის დასისათვის და გითხარით კიდეც, თუ ბედმა წილად მარგუნა, რომ მოგშორდეთ, სამუდამოდ ჩემი სურვილი იყო, რომ დაგტოვოთ ისე, რომ შიში არა მოგელოდდეთ-რა“.

## დეპეშა

30 ნოემბერი

**პეტერბურგი.** სამკურნალო საბჭომ გადასწყვიტა: რადგან კოხის წამალი არჩენს გარეგან სიჭლექეს მაინც და რადგან ამისთანა ბაცილების საწინააღმდეგო წამლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ზემოხსენებული წამალი და სხვა წამლებიც, რომელიც შესაძლოა მერე იქმნას მოგონილი, უნდა გადიქცეს სახელმწიფოს საკუთრებად და ერთგვარად ხელ-მისაწვდომი იყოს ყველასათვის. ამიტომვე ვისაც უნდა სცადოს ეს წამალი საჰკურნალოებში, იმას მთავრობამ უნდა ადევნოს თვალ-ყური. თვით წამალიც კეთილ საიმედო ალაგას უნდა იყოს მომზადებული. კოხის წამლის ხმარება ნება-დართულ იქმნება მხოლოდ მაშინ, როცა იგი გაისინჯება ცალკე ლაბორატორიაში და ზედ ეწერება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ შემოწმებულია მისი კარგად მომზადებაო.

„С.-Пет. Вѣд.“-ი იუწყება, რომ არსდება სრულიად რუსეთის მართმადიდებელთ ძმობა, რომელსაც ექმნება აზრად, განკარგება სამღვდელოების ყოფა-მდგომარეობისა, ერის ზნეობის ამაღლება და ბრძოლა მწვალებლობის წინააღმდეგ.

განზრახვა აქვთ დაარსონ საფარმაცევტო ინსტიტუტი ფარმაცევტთ ქალების მოსამზადებლად.

„Новости“ იუწყება, იმის მაგიერ, რომ შემოღებულ იქმნას საურთიერთო ზღვევა ნათესავებისა და მუშა საქონლისა, სახელმწიფო საბჭომ ამჯობინა დაარსდეს სავალდებულო ზღვევა. ამ საგნის განხილვას ეხლა შეუდგა იგი საბჭო.

1 დეკემბერი

**ბელგრადი.** სკუპჩინამ საიდუმლოდ ჰქონდა სხდომა და შემდეგი გარდასწყვიტა: „რადგანაც კანონმდებლობასა და კონსტიტუციაში ისეთი დადგენილება არა მოიპოვება რა, რომლის ძალითაც ჩვეულებრივს სკუპჩინს ნება ჰქონდეს განიხილოს და გარდასწყვიტოს დედოფლის მიერ აღძრული საკითხავი, ამიტომ სკუპჩინა განუხილველად სტოვებს დედოფლის საქმეს და სხვა მორიგ საქმეების განხილვას იწყებს. მაგრამ ამ საქმის გამო სკუპჩინა მაინც-კი აცხადებს სურვილს, მთავრობამ სარეგენტოთურთ იზრუნოს და მოსპოს განხეთქილება მეფის მშობლებთა შორის, რადგან იგი ზიანს აძლევს ქვეყანას და სამეფო ტახტს.

**პეტერბურგი.** კოხის პრეპარატის შესახებ სამკურნალო საბჭოს გარდაწყვეტილების ამბის დაბეჭდვა არ შეიძლება.

**პეტერბურგის ბირჟა, 30 ნოემბერი.**

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულია |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 90 | 6 95 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 138 | $138\frac{1}{2}$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 239 |
| —მეორისა | — „ | — „ | $218\frac{3}{4}$ |
| —მესამისა | — „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | $215\frac{1}{4}$ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — |


## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

**ბორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

## გამგეობა

ნიკოლსკის სამანუფაქტურო ამხანაგობისა

„საბა მოროზოვის, შვილი და ამხ.“

აუწყებს ბ-ნთ მყიდველთ, რომ იმის სავაჭრო საწყობი რომელიც ქალაქ ბაქოშია წყლისპირის ქუჩაზე, კრასილნიკოვის სახლში, 1 იანვრიდგან პოლიციის ქუჩაზე გადავა მაკარ ივანეს ძის ერმიშევის სახლში და სთხოვს იქ მიჰმართონ ხოლმე ამხანაგობის ნაწარმოების მისაღებად. (4—1)

ამხანაგობა სარპინკის კეთების მრეწველთა

სარატოვში.

1891 წლის სეზონი.

გვაქვს ახლად-ახალი, მშვენიერი სახიანი ნაქსოვი, ესრედ წოდებული

**ს ა რ პ ი ნ კ ა,**

ვყიდით ნარდად და წვრილ-წვრილადაც რუსეთის ყველა ქალაქში გავზავნით.

სარპინკას ნიმუშებს დავუგზავნით 15 ნოემბრიდგან ყველას, ვინც 42 კაპეიკს გამოგვიგზავნის ალბომისას.

ფასები და პირობანი ალბომშია მოხსენებული. მაწერ-მოწერა რუსულს ენაზედ შეიძლება.

10—2

| | |
|---|---|
| ბამბა „გავანნა“ თამბაქოს მხმარებელთათვის. | ეს ბამბა, პაპიროზში ჩადებული, სპობს ნიკოტინსა და სხვა მავნე ნივთიერებას, ამითი იცავს თამბაქოს მხმარებელის ჯანის სიმრთელეს და აგრეთვე თამბაქოს გემოს უკეთებს და უუმჯობესებს. ყუთი ღირს 10 კაპ. ბ-ნთ სხვა ქვეყნელთ 3 მანათად გაეგზავნებათ 25 ყუთი. ვაჭრებს შეღავათიანად და ნაკლებ ფასად დაეთმობათ. |
| საპონი „საპოლი“ სარეცხისათვის უვნებელია. | სარეცხის გასარეცხად ცივს წყალში თითო ნაჭერი, ნახევარი ნაჭერი. 30 კაპ. 15 კაპ. |
| პეწიანი ლაქი ა. ვენცელისა. | ქალისა და ყრმის ფეხთ-საცმელისა, ცხენის იარაღისა და სხვათათვის. თითო შუშა ჰღირს 40 კაპ. |
| ფხვნილი ბრილიანტინი რედეზისისა ტრიესტში. | ყოველ გვარ ლითონთა საწმენდელად ერთის შეკვრის 1/2 1/4 1/8 — 30 15 8 კაპ. |
| მსოფლიო ცემენტი ადოლფ ბერისა. | ფარფორისა, მინისა, ხისა და სხვათა შესაწებებლად. შუშა ღირს 25 კაპ. |
| პეწიანი სახამებელი ადოლფ ბერისა. | ჩვეულებრივს სახამებელში შესარევად. ერთი შეკვრა ღირს 26 კაპ. |

ისყიდება ყველა სააფთიაქო და საწვრილმანო დუქანში.

უმთავრესი საწყობი იმყოფება **ალექსანდრე ვენცელთან,** ს.-პეტერბურგს, ეკატერინეს უბანი, სახ. № 26. მოსკოვს, კარეტნაია სადოვაია, სახ. მალინინისა. (8—6)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

**დედა ენა და ბუნების კარი**

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Доз. цен. Тифлисъ, 1-го Декабря 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე